№ 132

სამშაბათი, 23 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 132

სამშაბათი, 23 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა პუპი ალექსანდრეს ასული აბაშიძისა, კნეინა ნინო სვიმონის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა** და **თ. ვლადიმირ სვიმონის ძე აბაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის ძმისას, თავადის

## ნიკოლოოზ სვიმონის ძის აბაშიძისა,

სთხოვენ მობრძანდნენ ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 20, სადაც ყოველ დღე გადახდილ იქმნება პანაშვიდი ნაშუადღევის 1 საათზედ და საღამოს 8 საათზედ.

დასაფლავების დღე გამოცხადებულ იქმნება ცალკე.

**თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე,** გულითადის მწუხარებით აცნობებს რა გარდაცვალებასა ძვირფასის და დაუვიწყარის თვისის მამისას,

## თავადის ალექსანდრე მერაბის ძის ჩხეიძისას,

სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ პატივი სცენ და მობრძანდნენ სოფელ დიდი-ჯიხაიშს იმისს სახლში, 23 ივნისს, დილით 9 საათზედ, როდესაც გასვენებული იქნება გვამი მიცვალებულისა წმ. გიორგის ეკკლესიაში. (1—6.—1)

## „აღმოსავლეთის მაღაზია“

### იოსებ მერკვილაძისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4. სემინარიის პირდაპირ)

ახლად მივიღეთ **იაპონიის საუცხოვოდ დამზადებული** მრავალი **საქონელი** და ნამდვილი **ჩინეთის ფანზა** და **ჩესუნჩა** და სხვა აბრეშუმეული. აქვე იყიდება **ჩვენებური დარაიები, შალები** და სხვა ნაწარმოები.

მაღაზიას აქვს **ქართული** (იმერული) **ტანისამოსის** სამაგალითო **სამკერვალო.** (10—88—7)

## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567.

(50—80—38).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

**მთავრობის განკარგულებანი**

გამწესებულ იქმნა ისაია ჩიქვანი—კანდიდატად საგუბერნიო გამგეობასთან პოლიციის მოხელის თანამდებობაზედ.

## ახალი ამბავი

⁂ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, მომავალ კვირას საზაფხულოდ მარტყოფის წმ. ანტონის მონასტერში მიბრძანდება.

⁂ კვირას, 21 ივნისს, გარდაიცვალა დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ წევრი ტფილისის საგლეხო საკრებულოსი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი თ. ნ. ს. აბაშიძე. ნეკროლოგს ხვალ დავბეჭდავთ.

⁂ კვირასვე გარდაიცვალა ტფილისში მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტაინი სოვეტნიკი პეშჩუროვი.

⁂ კვირას, 28 ივნისს, სადგ. გომში „სინდიკატის“ დარბაზში კნ. მაკ. ამირაჯიბის მეთაურობით წარმოდგენა იქმნება გამართული მომავალ ქართველ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოადგენენ „ხანუმას“ და შემდეგ ცოცხალი სურათები იქმნება ნაჩვენები.

იმედია, ამ ყოვლად თანაგრძნობის ღირსს წარმოდგენას, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე მთლად მახლობელ სოფლების მცხოვრები თავად-აზნაურობა და შეგნებული ნაწილი მცხოვრებთა სრულის თანაგრძნობით მიეგებება.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ.-ლ. ა. ა. ფრეზე კვირას, 21 ივნისს, კოჯორში წავიდა. კოჯორშივე გადატანილ იქმნა 22 ივნისს მთავარ-მართებლის სამხედრო-საერო მმართველობის კანცელარია და დღეს, 23 ივნისს, გადავა სამოქალაქო საქმეთა კანცელარია.

⁂ 27 ივნისს დანიშნულია ოზურგეთში საგანგებო კრება ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა. ამ კრებაზედ განხილული იქმნება საგანი ოზურგეთში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ და ის, თუ რამდენი უნდა გაიღოს თავად-აზნაურობამ ამ პროგიმნაზიისათვის.

⁂ პირველ სექტემბრიდგან ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის ფასი მომატებული იქმნება, სახელდობრ თითო მოსწავლეს გამოერთმევა 50 მანეთი. ის თანხა, რომელიც მომატებულის ფულისაგან შესდგება, გიმნაზიის შენობის გაფართოებასა და შეკეთებას მოხმარდება.

⁂ ქალაქ ბაქოს ფულის პატრონებმა ძმ. თუმაევებმა შეადგინეს ამხანაგობა წერა-კითხვისთვის საჭირო საგნების დასამზადებელ ქარხნის დასაარსებლად ქ. ტფილისში. ქარხანა უნდა ააგონ ნავთლუღის მახლობლად ქალაქის მამულზედ და ამ აზრით ამხანაგობის წარმომადგენელმა შუამდგომლობა აღძრა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის წინაშე, რომ ქარხნისათვის საჭირო მამული მოგვყიდეთო.

⁂ ქალაქის გამგეობის განკარგულებისამებრ ამ ჟამად ხელი მიჰყვეს ახალ ბრინჯაოს ფიცრების დამზადებას, რომლებზედაც აღნიშნულ იქმნება ამა თუ იმ ქუჩის სახელი.

⁂ საიმპერატორო საარქეოლოგო კომისიამ გამოგზავნა კავკასიაში ძველის ქართულის საეკკლესიო ნაშთების აღსადგენად და სურათების გადასაღებად მხატვარი ა. ს. ეისნერი, რომელმაც ამას წინად ტფილისში გამოფენა გამართა. ბ-ნი ეისნერი ამ ჟამად ტფილისშია და ამ დღეებში წავა სვანეთში.

⁂ მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის პრაქტიკულ-თეორეთიული კურსები კავკასიის სააბრეშუმო სადგურზედ დღეიდგან დაიწყება. ლექციები ასე იქმნება განაწილებული: დილის 9 საათიდგან 11 საათამდე წაკითხულ იქმნება ლექციები მეაბრეშუმეობის შესახებ; 11—12 მდე—მეფუტკრეობის შესახებ; ხოლო ნაშუადღევის 3-დგან 6 საათამდე—პრაქტიკული მეცადინეობა მეაბრეშუმეობისა.

⁂ გუშინ წინ, 21 ივნისს, ტფილისის პოლიცმეისტერმა შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ დანიშნულ იქმნას გუბერნიის ტეხნიკოსთაგან შემდგარი კომისია ციციანოვის აღმართის გასასინჯად. წვიმების შემდეგ ამ აღმართიდგან ქვები და ქვიშა სცვივა და სახლებს ეყრება.

⁂ წელს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 11 ქართველმა. ეს ყმაწვილი კაცები შემდეგ უმაღლესს სასწავლებელში მიდიან: გიორგი ბახტაძე—მოსკოვის უნივერსიტეტში საფიზიკო და სამათემატიკო ფაკულტეტზედ, გიორგი გეგელაშვილი—მოსკოვისა, ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტ., ვარლამ გელოვანი—პეტერბურგისა, ფიზიკისა და მათემატ. ფაკ., არჩილ ჯაფარიძე—მოსკოვისა, საბუნების-მეტყველო ფაკ., დავით ჯორჯიკია—ოდესისა საფიზიკო და სამათემატიკო ფაკ., მიხეილ ქორიაშვილი—კიევისა, საფიზიკო და სამათემატიკო ფაკ., ბესარიონ ლომინაძე—მოსკოვისა, საფიზიკო და სამათემატიკო ფაკულტეტზედ, ნიკოლოოზ მაჭავარიანი—მოსკოვისა, იურიდიულ ფაკ., ივანე პაპისაშვილი ხარკოვისა, სამკურნალო ფაკ. და კონსტანტინე ჩარკვიანი—ოდესისა, საფიზიკო და სამათემატიკო ფაკულტეტზედ. გეგელაშვილმა და ჩარკვიანმა ოქროს მედლები მიიღეს.

⁂ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო პოლიციის აგენტებს, რომ სია შეადგინეთ ძველის ხალიჩა-ფარდაგებით მოვაჭრეთა და დაავალეთ, ყოველგვარი ხალიჩა-ფარდაგი სადეზინფექციო სადგურში იქმნას ხოლმე წარდგენილი სადეზინფექციოდ.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატას მოუვიდა ბრალმდებელისაგან მეორე საბრალმდებლო საქმე კოდორის ნაწილის უფროსად ნამყოფის შტაბს-კაპიტანის ჩიჩელოვისა, რომელსაც სამსახურის ასრულების დროს დანაშაულის ჩადენა ჰბრალდება.

⁂ 15 ივლისიდგან შემოღებულ იქმნება სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც ქუჩების დაგვადაწმენდა და ნაგვის გატანა-გადაყრა სახლების პატრონთ დაევალებათ.

⁂ სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ განზრახვა აქვთ მომავალ პარიჟის საერთაშორისო გამოფენის კავკასიის განყოფილების მომართვა-მოწყობა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მიანდონო.

სასწავლებელში პირველ სექტემბრიდგან დაარსებული იქმნება მე 5 და მე 6 კლასის პარალელური განყოფილებანი.

⁂ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელის საზოგადოების წესდება, რომლის შედგენა დაევალა ხუთს კაცს, მასწავლებელთა კერძო კრების მიერ აღმორჩეულთ, უკვე მზად არის. წაკითხვა და განხილვა ამ წესდებისა დანიშნულია მომავალს ხუთს ივლისს. ზემოხსენებული კომისია სთხოვს ბ-ნ მასწავლებელთ ამ დროისათვის მობრძანდნენ ქ. ქუთაისში ამ წესდების წასაკითხად და გასარჩევად.

⁂ სახელმწიფოს გზათა გამგეობამ შეატყობინა ამიერ-კავკასიის რკინის-გზის უფროს,—გამოუცხადეთ, რომ ყოველ-გვარ უსახელო და დაბეზღების წერილს, რომელიც ამ გამგეობაში იქმნება გამოგზავნილი, უყურადღებოდ დავსტოვებთო. უფროსმა, აცნობა რა ეს ამბავი გზაზედ მოსამსახურეთ, დაუმატა, რომ არც მე განვიხილავ ასეთ წერილებსაო.

*** ამ ჟამად ბ-ნის ა. ს. წურინოვის თაოსნობით ტფილისის სამკურნალო აბანოების პატრონები არდგენენ პროექტს ამხანაგობის წესდებისას. ამხანაგობას აზრადა აქვს ისე მოაწყოს ტფილისის აბანოები, როგორც საზღვარ გარეთაა. ამ აზრით განზრახვა აქვთ გაჰმართონ მშვენიერი ბაღი, სასტუმროები და სხვ.

*** ამას წინად გაზ. „ახ. მიმ.“ გადმობეჭდილი გვქონდა, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალს გამგეობას განზრახვა აქვს თვით იკისროს წარმოდგენების მართვა მომავალ სეზონშიო. როგორც შევიტყეთ, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, რადგან ზემოხსენებულს გამგეობას ჯერ-ჯერობით არც საქმეები მიუღია ძველის გამგეობისაგან და არც თავმჯდომარე ამოურჩევია.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ ოზურგეთიდგან: 21 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზედ, დაიწვა ის შენობა, რომელშიაც სამაზრო გამგეობა იყო მოთავსებული. ყველა ქაღალდები დაიწვა. კასსა გადარჩენილ იქნა. ცეცხლის მქრობელი რაზმი არ არის. შენობა დაზღვეული იყო „იაკორ“-ის საზოგადოებაში“.

*** გაზ. „კავკას“-ს სწერენ, რომ თავ. დ. ზ. ბარათაშვილმა და კნეინა ი. ი. ბარათაშვილისამ დიდი შემწეობა და დახმარება აღმოუჩინეს ხონის დედათა სასწავლებელს, რომელიც ე. ლ. ბახტაძის ხარჯით ინახებაო. გაზეთი უმატებს, რომ არ შეიძლება სიხარულით არ მივეგებოთ შემომწირველთა სიუხვეს, მით უმეტეს, რომ ეს დედათა სკოლა—პირველი სკოლაა, რომელიც ქართველის ქალის მიერ იქმნა დაარსებული, ხოლო პირველი ნაბიჯი, ყოველთვის ძნელიაო.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ სოხუმის სამთო სასწავლებლის ზედამხედველი დ. გ. აჯამოვი სამსახურს თავს ანებებსო.

*** სად. ხაშური. 18 ივნისს, დილის 7 საათზედ, სადგურიდგან გამოვიდა თუ არა მატარებელი, წინ დახვდა ვიღაც 60 წლის დედაკაცი და ამგვარად სიცოცხლე მოუსწრაფა.

*** სოფ. სვიმონიანთხევი (თიანეთის მაზრა) 7 ივნისს საღამოს მოვიდა საშინელი სეტყვა, რომლის მსგავსი აქაურ მკვიდრთ არ უნახავთ. დასეტყვა სოფლები: სვიმონიანთხევი, თოლინჯი, მელიასხევი, ზეგნაკორა და საყარაულო. ყანები მიწასთან გაასწორა და ამ სოფლების ზარალი აღემატება 30,000 მანეთს. მოვლენილს სეტყვას მკვიდრთ ქვის სეტყვა დაარქვეს, რადგანაც ქვებივით დიდრონი ცვიოდა. სეტყვა ისეთი ძლიერი იყო, რომ დახოცა ოთხფეხი ცხოველები და ფრინველები; კაცებს, ვისაც გარეთ მოასწრო, სეტყვამ თავები გაუტეხა და ზოგი ლოგინში ჩააწვინა. რომ გაზვიადებულად არ მიიღოთ, დავამაგალითებ: სოფ. თოლინჯში სეტყვამ ასი ლორი მოჰკლა, ერთი კამეჩი (ვუნწულა ქართლელაშვილისა) და ერთი ხარი (ნიკო ფეიქრიშვილისა). მეორე დღეს სოფლების მიდამოებში მრავლად ჰპოულობენ სეტყვისაგან დახოცილ ფრინველს და კურდღლებს.

*** შაბათს, 20 ივნისს, ჩამოვიდა ტფილისში სპარსეთიდგან ახლად დანიშნული სპარსეთის ელჩი, გენერალ-ფელდმარშალი, მისის უმაღლესობის შაჰის ადიუტანტი, მირზა-აბდულ-ჰუსეინ-ხანი.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლესს მთავრობასთან იმის შესახებ, რომ თელავის მაზრის საერობო დარაჯის მოხელენი ბერდანის თოფებით იქმნენ შეიარაღებულნიო.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალ „მოამბის“ მე-V ნომერი შემდეგის შინაარსით: „ქოჩორა ხე“.—აღზრდის ისტორიიდგან ჩვენში ვ. ბარნოვისა. „ამირანის შვილნი“.—ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდგან (გაგრძელება). „წეროები“.—ჰენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. „სიკვდილი და სიცოცხლე“. ხუთ-მოქმედებიანი კომედია დუტუ მეგრელისა. „მეგობრები“.—ამბავი სტუდენტთა ცხოვრებიდგან ი. ნ. პოტაპენკოსი, თარგმანი ი. ა—ძისა. „გლეხი-კაცის ისტორია“.—ნაწილი მესამე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“—LIV, LV.—ალ. ს—შვილისა. „ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით“.—ვ. გიუიოსი, თარგმანი ინ-ანისა, „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდგან.—II, თ-დი გრ. ორბელიანი.—კიტა აბაშიძისა. ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი“—ივ. ბუქურაულისა (დასასრული). „ახალი წიგნები“.

*** 21 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ტფილისის გუბერნიის სოფ. აღბულახის მცხოვრებელის ლაზარე კელეპტაროვის 12 წლის შვილი ივანე ბეგ-ავაქოვის წისქვილის მახლობლად მტკვარში ჰბანაობდა. წყალმა ბავშვი მოიტაცა და დაარჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** 21 ივნისს ქალაქ ტფილისის მეათე ნაწილის გამგეობაში პოლიციელებმა მიიყვანეს ახალგაზდა 15 წლის ქალი, სარატოვის გუბერნიის, ბალაშავის მაზრის მცხოვრებელი ოლგა კულიჩენკო, რომელმაც განაცხადა, რომ ამ სამის თვის წინად ჩემმა მშობელმა მამამ პეტრე კულიჩენკომ ნამუსი ამხადა და 50 მანეთად სლესარს ნიკოლოზ ივანოვს მიმყიდაო. პეტრე კულიჩენკო დაპატიმრებულ იქმნა და გადაეცა მესამე მომრიგებელ სასამართლოს გამომძიებელს.

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში.

ორშაბათს, 15 ივნისს, ტფილისის სასულიერო სემინარიის დარბაზში დაიწყო საზაფხულო საპედაგოგიო კურსები სამრევლო სკოლების მასწავლებელ ქალთა და ვაჟთათვის. კურსებს ჰხელმძღვანელობს საგუბერნიო ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი. სულ კურსებზედ გამოწვეულია ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილიდგან 48 მასწავლებელი—22 ქალი და 26 ვაჟი. ქალები ბინადრობენ დედათა საეპარქიო სასწავლებელში, ხოლო ვაჟები ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იმართება მეცადინეობა 9—1½ საათამდე.

ეს მეორედ იმართება ტფილისში ამ გვარი კურსები სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა აქვს სწავლის საქმეში ამ გვარ კურსებს, სადაც მასწავლებელთ ბედნიერი შემთხვევა ეძლევათ, რომ ერთ-ფეროვანი, თუ უფრო უფერულის პროვინციის ცხოვრების ქერქიდგან გამოძვრნენ, თვალი მიმოავლონ ფართო მიდამოს, ერთმანეთი გაიცნონ, აზრ-შეხედულებათა აღებ-მიცემობა გაჰმართონ, თავის დანიშნულება მოვალეობის სიმძიმე-სიდიადეს უფრო სწორისა და უტყუარის თვალით შეხედონ, უფრო ადვილი და ხერხიანი იარაღ-სახსარი შეიძინონ სწავლის საქმეში, რომ უფრო ბეჯითად, უფრო მხნეთ შეეჭიდნენ ყოველ დამაბრკოლებელს ცხოვრების ეკალს თავისს საგნის მისაღწევად. მაგრამ რამდენადაც დიადია მნიშვნელობა და სარგებლობა ამ საქმისა, იმდენად საძნელო და თავ-სატეხია მისი რიგიანად წარმოება, წესიერ, სასარგებლო ნიადაგზედ დამყარება, ნამეტნავად მაშინ როდესაც ჩვენში თითზედ ჩამოსათვლელია სამაგალითო, ნამდვილ მასწავლებელთა რაოდენობა. მაგრამ ამაზედ შემდეგ, როდესაც დაიწყება გაკვეთილები და ლექციები სხვა საგნებისა, ეხლა-კი ამ ერთის კვირის შრომას გადავავლოთ თვალი.

მთელის კურსების შრომა-მეცადინეობა ამ გვარად არის დანაწილებული:

| | ლექცია. | სამგ. გაკ. | სანიმ. გაკ. |
|---|---|---|---|
| სამღრთო სჯული | 4 — | 3 — | 6 |
| რუსული ენა — | 6 — | 4 — | 9 |
| ქართული — — | 2 — | 2 — | 5 |
| ანგარიში — — | 5 — | 4 — | 9 |

გალობისა სულ 60 გაკვეთილია. 27 თეორიისა, 33 სავარჯიშო, თანაბრად განაწილებულია რაოდენობა ქართულ-რუსულ გალობის გაკვეთილებისა.

სამღრთო სჯულის სწავლებაზედ ლექციებს წაიკითხავს თვით მოთავე და ინსპექტორი კურსებისა ნ. გ. ტატიშვილი, რუსულისა და ქართულისას—ქართულის ენის მასწავლებელი სასულიერო სემინარიისა, იგივე ზედამხედველი კურსებისა ბ-ნი ი. ი. ფერაძე, ანგარიშისას მასწავლებელი ტფილისის სასულიერო სასწავლებლისა ა. თ. ნატროშვილი, ქართულის გალობისას—მღვ. ვ. კარბელაშვილი, რუსულისას გალობის მასწავლებელი ტფილისის სამრევლო სკოლებისა ბ-ნი შარაბიძე.

15—20, როგორც მოვიხსენიეთ, მხოლოდ გალობის გაკვეთილები იყო. დღეში 6. სულ 36. ამ ერთფეროვნების ბრალია, ლექტორების თავ გამოდებულ შრომა-მუყაითობისა, თუ მასწავლებელთა გულდასმით მეცადინეობისა, თუ ყველა ამ გარემოებათა ერთად, არ ვიცი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ერთის კვირის შრომამ ღირსეული და თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო; მასწავლებელთ, რომელთაგანაც უმრავლესობამ სულ არ იცოდა ნოტები, რიგიანად შეისწავლეს ელემენტარული ცნობები და ნოტების კითხვაში იმდენად დახელოვნდნენ, რომ შეუძლიანთ თავისუფლად იგალობონ ქართული და რუსული საეკკლესიო საგალობლები. სწორედ მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო ამ კვირამ. ვისურვოთ, რომ დანარჩენი დროც ასე მუყაითად და გულ-მოდგინე მეცადინეობაში გაეტარებინოს კურსების მთელს კრებას.

ორშაბათს, 22-ს ივნისს, წაკითხულ იქმნა ლექციები: სამღრთო სჯულის სწავლების შესახებ ნ. გ. ტატიშვილის მიერ, რუსულის ენისა—ი. ი. ფერაძეს მიერ და ანგარიშისა—ა. ი. ნატროშვილის მიერ.

ნ. კ.

# ფელეტონი

## ცხოვრება და მწერლობა

### III

### ახალი ქართველი ქალი

(შემდეგი *)

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვით: ოქროსა და ქეთინოს შეუყვარდებათ ერთმანეთი; ეს ორი სული რაღაც ნათესაობას იგრძნობს ერთმანერთის მიმართ, რაღაც ძალა მიიზიდავს მათ ერთმანეთისაკენ ისე, რომ მთელის ქვეყნის ძალას არ შეეძლება მათი გაყრა და დაშორება.

სიყვარული!.. დიდი ძალაა, დიდი მადლია წმინდა, ადამიანური სიყვარული. ეს ის დაუშრეტელი წყაროა, ეს ის ღვთაებრივი საიდუმლოა, რომლის გამოცნობას სცდილობს ადამიანი, რაც თავი შეუსწავლია, და დღემდის ვერ მიუგნია მისის ბუნებისთვის. არა გვგონია დადგეს დრო, როდესაც ეს გრძნობა იქმნას გამოკვლეული, როგორც თეორემა მათემატიკური; როდესაც ის არ იყოს მოცული ღვთაებრივის საიდუმლოებით; ისეთი დრო, როდესაც სიყვარულს დაეკარგოს ძალა ბედისა და უბედობის აშენებისა კაცთა შორის. სამწუხაროდ, ასე არ ესმის ეს საგანი ყველას. ბ-ნი კიტა აბაშიძე სწერს „მოამბეში“ (მაისი), რომ ალ. ჭავჭავაძემ ისე სავსებით აღწერა სიყვარულიო, რომ მის შემდეგ პოეტებს ამ საგანზედ ბევრი აღარა დარჩათ სათქმელიო. გაგონილა ესა და თქმულა?! ასეთს „დათვს“ კაცი მხოლოდ ბ-ნ კიტა აბაშიძის საკრიტიკოს სამფლობელოში თუ მოჰკლავს, თორემ სხვაგან ვერსად.

სიყვარული ის ადლია ბელლეტრისტიკაში, რომლითაც გაიზომება ავტორის ნიჭი. მხოლოდ უმაღლესად მადლით ცხებულს ავტორს შეუძლიან დახატოს სიყვარული მაღალი, ღვთაებრივი, რომელიც ისე მაღლა სდგას ხორციელ და პირუტყვულ სიყვარულზედ, როგორც ცა დედამიწაზედ. იტყვიან სამართლიანად: რომანები ჰრყვნიან ახალგაზდა კაცთა და ქალთაო. დიახაც, ყოველ ასს რომანში ოთხმოცი მაინც სწორედ ასეთია. ამავე საბუთით ფილოსოფნი-მორალისტები სრულიად უარს ჰყოფენ ბელლეტრისტიკას. მაგრამ ეს ასე არ არის. წააკითხეთ ყოვლად-უმანკო ქალს ტურგენიევის „Дворянское гнѣздо“, გააგებინეთ ლიზის რომანი და ჰნახავთ, რომ სპეტაკი და ღვთაებრივი სახე ლიზასი აღამაღლებს თქვენს უმანკოს და არა დასცემს ზნეობრივად. წააკითხეთ, გაუთვალისწინეთ ლიზას სახე ზნეობა-დაქვეითებულს ქალს და ჰნახავთ, რომ მასში დაიბადება სურვილი გაუკეთესებისა, გასწორებისა, ამაღლებისა, მისწრაფება იდეალური. ანუ დიდებულის შოთას აღწერა სიყვარულისა, ტარიელ ნესტანდარეჯანის სპეტაკი სიყვარული ნუ-თუ ვისმეს გულში გააღვიძებს ქვენა გრძნობებს, პირუტყვულ ვნებათა ღელვას.

რასაკვირველია, შეიძლება იყოს კაცი, რომელსაც თვით წმიდა ტაძარში ქვენა გრძნობები ებადებოდეს, ხოლო აქ ბელეტრისტიკა არაფერს შუაშია.

დიახ, ყველას არ ძალ-უძს სიყვარულის აღწერა, დახატვა ისე, რომ იგი პირუტყვულ და ქვენა გრძნობებს არ იწვევდეს. ეს ხვედრია დიდად ნიჭიერის მწერლებისა. ტურგენიევმა სულ სიყვარულის შესახებ სწერა, მაგრამ მისმა ნაწერებმა კი არ დაამცირეს რუსის ქალი, არამედ აიყვანეს იმ სიმაღლეზედ, რომ მთელი ევროპა გაკვირვებული და გაოცებული იყო მისის სიმშვენიერით.

ან. ერისთავის ქეთინოს სიყვარულიც ასეთია. ქეთინოს შეუყვარდება ოქრო. ეს სიყვარული ქეთინოსთვის რაღაც ღვთის-მსახურებაა, რაღაც ისეთი მაღალი და ზეციური გრძნობაა, რომელსაც უნდა შევცქეროდეთ და გვიკვირდეს, გვიკვირდეს და შევცქეროდეთ! ქეთინოს გრძნობას არავითარი ერთობა, არაფერი საზიარო არა აქვს-რა „ხვევნა-კოცნა, ტლაშა-ტლუშთან“. ამიტომ დაბეჯითებით გირჩევთ, ქართველო დედებო, წააკითხეთ თქვენს 16—17 წლის მტრედსავით უმანკო ქალებს „მოლიპულ გზაზედ“, წაიკითხონ ქეთინოს სიყვარულის ამბავი და ღრმად იყავით დარწმუნებული, რომ მათი ზნეობრივი გრძნობა ამაღლდება, განსპეტაკდება და არ დაეშვება ძირს.

ქეთინო ისეთი არსებაა, რომ ორჯელ და სამჯერ სიყვარული არ შეუძლიან, როგორც არ შეეძლოთ ეს ტარიელსა და ნესტანს. ქეთინო ან გაიფურჩქნება, აყვავდება, დიდად გაბედნიერდება ამ სიყვარულით, თუ იგი კეთილად დაბოლოვდა. ან მოკვდება, თუ იგი გაუცრუვდა. ქეთინო გმირია და გმირებმა არ იციან და არც შეუძლიანთ აღებ-მიცემობა გასწიონ თავიანთ სინიდისთან. ლიზამ ტურგენიევისამ, სულ ახალგაზდა ქალმა, ღრმად და ძლიერად, ქეთინოსებურად, შეიყვარა ლავრეცკი. ბედმა ხელი არ მოუმართა ლიზას და ვერ მოუხერხდა ქორწინება ლავრეცკისთან. ლიზა ამის შემდეგ ეთხოვება წუთისოფელს. 17—18 წლის სიცოცხლით აღსავსე ქალი მიდის მონასტერში მოლოზნად... და არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს შედრიკოს გარდაწყვეტილება ნორჩის ქალისა, ჯერ ისევ ყრმისა!

ჩვენ ყველანი უბრალო მომაკვდავნი რაღაც შიშის ზარსა ვგრძნობთ ასეთ ადამიანების გვერდით. ჩვენ წვერ-ულვაშებიანები, ბრძენნი, ნასწავლნი, გამოცდილნი, დღეში ათჯერაც შევცვლით ჩვენ სიტყვას გარემოების მიხედვით; ჩვენი „მამაო ჩვენოა“:

ასე ჩემო მანასეო.
ხან ისე და ხან ასეო!

როგორ არ შევკრთეთ ჩვენ, როდესაც ბავშვი, ნორჩი არსება გვიმტკიცებს ხასიათის მედგრობას, მოუდრეკლობას, თავის გაწირვას.

ასეთია ქეთინოც, ასეთია ნესტან-დარეჯანიც, ასეთია ტარიელიც. ამათ ორ სკამზედ ჯდომა არ შეუძლიანთ, ამათ ორის ღმერთის თაყვანება არ ძალ-უძთ; ამათ არ იციან ბედის დამორჩილება, ამათ ენაზედ არ არსებობს ასეთი ფრაზა: თუმცა ჩემი საქციელი უსინიდისოა, მაგრამ იძულებული ვარ ასე მოვიქცე! ამა სოფლის მარილნიც, ჩემო ბატონო, ესენი არიან. ასეთი ადამიანები რომ არ იბადებოდნენ, დაობდებოდა ქვეყანა. ესენი არიან გმირნი, რომელ-

*) იხ. „ივერია“ № 127

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ურიათუბანი,** (თელავის მაზრა). როგორც სახელი გვიჩვენებს, სოფელი ურიათუბანი უწინ ურიებით ყოფილა დასახლებული, მხოლოდ შემდეგში ურიების მაგიერ ქართველები და სომხები ჩამდგარან, რომელთაც ამ ჟამად საკუთარი ეკკლესიაცა აქვთ და მღვდელიცა ჰყავთ. არა ნაკლები რიცხვია აქ თავად-აზნაურობისა. იქნება უწინ დამშვიდებული სოფელი იყო, მაგრამ ახლა ურიათუბანი ერთი დავი-დარაბაის სოფელია მთელს თელავის მაზრაში. ქიშპობა, ერთმანეთის გაუტანლობა მუდმივ ერთმანეთში დავა,—ამათი ხელობაა. კარგი არის, როცა სოფელს ერთი წარმომადგენელი ან თავადთაგანი, ან აზნაურთაგანი ვინმე ჰყავთ, რომლისაც ყველას ეშინიან და დიდი ხათრი აქვთ. ამისთანა პატიოსანი კაცი სოფლისთვის მით უფრო კარგია, რომ მისის ხათრითა და შიშით ვერ გაჰბედავენ ცუდის საქმის ჩადენას. ვიდრე თავადი ნიკოლოზ გულბაათისძე ჭავჭავაძე ურიათუბანში სცხოვრობდა, სოფელი დამშვიდებული იყო, მისის ხათრით და შიშით წარამარათ ერთმანეთზედ საჩივრებს ვერ ჰბედავდნენ. რაც თ. ნ. ჭავჭავაძე გადიყვანეს დუშეთის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლედ და აქ აღარა სცხოვრობს, მას აქეთ უფრო გაივარჯიშეს ურიათუბნელებმა დავიდარაბაში. წარამარად, უსაფუძვლოდ ხან ვის უჩივიან და ხან ვის.

28 მაისს შემთხვევით დავესწარით ურიათუბნის სამრევლო სკოლის მოსწავლეთა გამოცდას. სწორედ მოგახსენოთ, დიდად კმაყოფილნი დავრჩით. უმაწვილებმა მშვენივრად იცოდნენ სადმრთო რჯული, თავისუფლად მოგვითხრობდნენ ძველისა და ახალის აღთქმის ისტორიას. რაც შეეხება წერა-კითხვას და გალობასა—ეს საგნებიც შეძლებისა დ გვარად ესწავლებინათ. ურიათუბნის საზოგადოება ამ მხრივ დიდად საქებია, რომ ორ-ორი სკოლა აქვთ და თავიანთ შვილებსაც ბეჯითად ატარებენ სკოლაში. ბევრს სოფელს ერთი სკოლაც არა აქვს,—და, რასაკვირველია, მოთავე კაცი არ ეყოლებათ. პირველი წარმომადგენელი სოფელში მღვდელია, და კეთილ სვინიდისიერი, პატიოსანი და კარგის მიმართულების მღვდელი რას არ გააკეთებს სოფელში. სკოლის გარდა, ბევრი სხვა საჭიროება აქვს სოფელსა. თვით სოფ. ურიათუბანს თუმცა ორი სკოლა აქვს, მაგრამ წიგნთსაცავ-სამკითხველო კი არ მოეპოვება. არა ნაკლებ სარგებლობას მოიტანს წიგნების კითხვა. ურიათუბანში წიგნის მცოდნენი არიან, მაგრამ წიგნები-კი ენატრებათ საკითხავად. არ იქნება ურიგო, ურიათუბნის მღვდელმა ეს კეთილი საქმეც ითავოს და სკოლასთან წიგნთ-საცავიც გამართოს. იმედი გვაქვს მ. იროდიონ ჩეკუროვისა, ამ საჭირო მოთხოვნილებას მიაქცევს ყურადღებას და უთუოდ გაჰმართავს სამკითხველოს თავის მიერ დაარსებულ სამრევლო სკოლასთან.

თ. კახელი

# რუსეთი

„ნოვ. ვრემ.“-ს დეპეშით სწერენ ხარკოვიდგან: „15 ივნისს ბ-ნი დანილევსკი მის მიერ გამოგონილის მანქანით ჰაერში აფრინდა რამდენჯერმე და მშვიდობიანად დაეშვა დედამიწაზე. ამ დღეებში ბ-ნი დანილევსკი კიდევ გამოსცდის თავისს მანქანას. აქამდე მანქანას მსხვილი თოკი ჰქონდა მიბმული, ეხლა კი ბ-ნი დანილევსკი თოკს მოხსნის მანქანას და ისე იფრენს ჰაერში.

— ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრო არდგენს ნორმალურ წესდებას იმ საპედაგოგიო საზოგადოებათა სახელმძღვანელოდ, რომელნიც არსებობენ ვაჟთა და ქალთა საშუალო სასწავლებელთან.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** დეპეშამ უკვე მოიტანა გუშინ ამბავი, რომ ახლად გადაყვანილ ამერიკის ჯარსა და ესპანელებს შორის სანტ-იაგოს მახლობლად დიდი ბრძოლა მოხდაო. დაწვრილებით დეპეშა არაფერს იუწყება. კაცი ვერ გაიგებს ამ დეპეშიდგან—ამერიკელებმა გაიმარჯვეს თუ ესპანელებმა. ნათქვამია მხოლოდ, რომ ბრძოლამ ხუთი საათი გასტანა, მზის ჩასვლისას ესპანელებმა ბრძოლის ველს თავი მიანებეს და ქალაქს შეეკედლენ, ამერიკელებს-კი თუმცა უკან არ დაუწევიათ, მაგრამ დიდი ზარალი მოუყვიდათო; სახელდობრ მათ 1000 კაცი დაჰკარგვესო. იგივე დეპეშა იუწყება, რომ ამ ამბავმა ამერიკის მთავრობა და სამხედრო წრეები მალიან დააფიქრაო. ამ რიგად, როგორც ვთქვით, ამ დეპეშიდგან არა სჩანს ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა. ამერიკის მთავრობა მალიან დაფიქრდაო, მაშასადამე იმათ ჯარს არ გაუმარჯვნია. მეორეს მხრით,—ესპანელებმა ბრძოლის ველს თავი მიანებეს და ქალაქის კედლებს შეეფარნენო, აშკარაა, არც ამათი საქმე ყოფილა კარგად. ასე თუ ისე, ესპანიისა და შეერთებულის შტატების შორის გაცხარებული ბრძოლა უკვე დაიწყო. აქამდის მოწინააღმდეგეთ, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, შეტაკება მხოლოდ ზღვაზედა ჰქონდათ, ეხლა კი ბრძოლის ველად ხმელეთი გაიხადეს და უნდა ვიფიქროთ, რომ ომს საბოლოოდ ეს ბრძოლა გადასწყვეტს. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ თუ ამერიკამ სანტ-იაგო აიღო და იქ მყოფი ესპანიის ჯარი დაამარცხა, ომს ბოლო მოეღებაო; ესპანიაში ჯერ ეხლავე გაიძახიან, დროა ზავი მოვსთხოვოთ ამერიკასაო, ხოლო თუ მან სანტ-იაგოც დაჰკარგა, მაშინ ომს ვეღარ განაგრძობს და შერიგებას მოსთხოვს ამერიკასაო.

— ამ დიდის ბრძოლის გარდა ამერიკისა და ესპანიის ჯარს შორის პატარ-პატარა შეტაკებებიც მომხდარა. ერთი ასეთი შეტაკება წარსულ ხუთშაბათსაც ჰქონიათ ამერიკელებსა და ესპანელებს. 1000 ამერიკელი ჯარის-კაცი 2000 ესპანელს შეჰბმია—სანტ იაგოდგან 5 მილის სიშორეზედ. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელები ორჯელ მეტი ყოფილან, ამერიკელებს ვერ გაჰმარჯვებიან და უკუ ქცეულან. ბრძოლის შემდეგ—17 მოკლული და 43 დაჭრილი ამერიკელი აღმოჩენილა, დაჭრილთა შორის 6 აფიცერიც არის თურმე. რამდენი დაჰკარგეს ესპანელებმა ჯერ არ იციან. მხოლოდ 14 მოკლული ესპანელი უპოვნიათ ბუჩქებში, მაგრამ ამბობენ, რომ მოკლულთა რიცხვი სამჯერ მეტი უნდა იყოსო.

— ამერიკიდგან მოსული დეპეშები იუწყებიან: ადმირალმა სამპსონმა ბრძანება მიიღო, რომ უკანვე გამოგზავნოს ის გემები, რომლითაც აქედგან ჯარი იქმნა გადაყვანილიო. მთავრობას აზრადა აქვს 20,000 ჯარის-კაცი კიდევ დასხას ამ გემებზედ და გაგზავნოს ნახევარი სანტ-იაგოში იქ მყოფ ჯარის მისაშველებლად, ნახევარი კიდევ კუნძულის პორტო-რიკოს ასაღებადო“.

# დამაკვირდი

ვეცხლი, ვითარცა მიწაჲ, და ოქროჲ ვითარ თიკაჲ უბნისაჲ, ვიუნჯენ და თაყვანისვეც ანგაჰრებისა მამონას.

წმ. დავით აღმაშენებელი

* * *

კაცთადა მონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაჲ არს.

დავით ჯიბისძე (1035 წ.)

* * *

უნებურად სიკვდილს, ნამუსიანი სიკვდილი სჯობს.

მეფე ერეკლე II

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში იმდენი სხვა-და-სხვა კლუბია, მაგალითად, კლუბი მათხოვართა, რომ, რა თქმა უნდა მკითხველს არ გაუკვირდება, როდესაც მოვახსენებთ, რომ ძლიერ სქელ და მსუქან კაცებს დაუარსებიათ თავიანთი საკუთარი კლუბი; ამ კლუბის წევრობისათვის საჭიროა... დიდი წონა. თუ კაცი წონით $6^{1}/_{4}$ ფუთზე ნაკლები მოვიდა, წევრად არ მიიღებენ. ამ კლუბის დარბაზი ვოლტერის ბულვარზეა. ერთის გაზეთის თანამშრომლები გაეცნენ ამ კლუბის მდივანს, რომელმაც იგინი წაიყვანა კლუბის ერთს კრებაზე. კლუბის საპატიო პრეზიდენტი ბ-ნი ფეში კარგა მძიმე კაცი ბრძანებულა: $9^{1}/_{2}$ ფუთს იწონის; კარგა ჯან-საღი და მხიარული კაციც გახლავთ. ნამდვილი პრეზიდენტი ამ კლუბისა ბრძანდება სირაჯი ბ-ნი ბერტუ, რომელიც საპატიო პრეზიდენტს ბ-ნ ფეშეს ბევრით არაფრით ჩამოუვარდება წონაში. ეს კლუბი დაარსდა 1896 წელს. კლუბის წესდების ერთს მუხლში ეწერა: „თუ კლუბის ერთი წევრი გარდაიცვალა, დანარჩენნი მოვალენი არიან სამარემდის მიაცილონ“. ამ მუხლის გამო ასტყდა დიდი ბაასი და კამათი. ბევრნი ამტკიცებდნენ, ჩვენ, ვითარცა უდარდელ ხალხს, გვსურს სიამოვნება და სიხარული და ამ მუხლში-კი სწერია სიკვდილზე, სამარეზე და დასაფლავებაზე. წაშალეთ ეგ მუხლიო! დამართლაც წაშალეს. იმავე კრებამ შემდეგი უმთავრესი საგანი განიხილა. როგორ უნდა მოექცნენ ისეთს წევრს კლუბისას, რომელიც წევრად მიღების დროს კანონიერის წონისა იყო და მხოლოდ შემდეგ დააკლდა წონა. ზოგი ამბობდა—ასეთი წევრი დაუყოვნებლივ დათხოვნილ უნდა იქმნას კლუბიდგანაო, ზოგი კიდევ ამტკიცებდა, არა, დათხოვნა აღარ შეიძლებაო. ბოლოს ასე მორიგდნენ. ვისაც დააკლდება წონა, ცოტა დრო მივცეთ, რომ ისევ გასუქდეს და თუ ამ დროს განმავლობაში არ გასუქდა, მერე, მეტი რა ღონეა, უნდა დავითხოვოთო. კრებამ გადასწყვიტა აგრეთვე, კლუბის წევრად უცხოელი არავინ მიიღონ. ამ გვარად ამ კლუბის წევრებად მარტო ფრანგები იქმნებიან. კლუბის წევრს თვეში სამი ფრანკი გადაჰხდება (ერთს მანათს უდრის). კლუბში აკრძალულია სარწმუნოებისა და პოლიტიკის შესახებ ლაპარაკი, რადგანაც მსუქან კაცებისათვის ყოველივე აღელვება მავნებელია და საშიშოც. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, რომ ამ კლუბის წევრებს ყველას ერთგვარი „ფორმა“ ჰქონდეთ. ეს „ფორმა“ შემდეგია: წევრს

---

თა ხილვით გული ჰხარობს, იმედით ივსება, ძალა ეძლევა, ბედი უადვილდება, სიცოცხლე უტკბება.

* * *

ქეთინოსა და ოქროს შუა, როგორც მოგეხსენებათ, ჩადგება კნეინა მაკინე და თავისის ფლიდობით, მოტყუებით, მლიქვნელობით ჩაჰშლის ამათ ბედნიერებას.

ქეთინოს დაარწმუნებენ მოტყუებით, რომ ოქრომ იმაზედ ხელი აიღო და სხვას ირთავს. ოქროს კიდევ დააჯერებენ, რომ ქეთინო პალიკოს ირთავს. აქედამ იწყება საშინელი ტრაგიზმი ქეთინოსა და ოქროს სიცოცხლეში. ორივენი თანაბრად იტანჯებიან, ჰქრებიან, ილევიან, ჰკვდებიან.

ხოლო აქ თავს იჩენს ქეთინოს სიცოცხლეში ერთი ახალი გარემოება, რომელიც სულ სხვა, ახალ მიმდინარეობას აძლევს მოთხრობას. ეს ისა, რომ პატიოსანს პალიკოს გაგიჟებით უყვარდა წინადაც და ეხლაც უყვარს ქეთინო. ქეთინოს კი უყვარდა და უყვარს ოქრო და ამიტომ პალიკოს არ ატყუებდა და პირში ეუბნებოდა: მე სხვას ვეკუთვნიო. ეხლა? რაკი დაარწმუნეს, რომ ოქრო მისი აღარ იქნება, ეხლა რაღა უდგა წინ პალიკოზედ გათხოვებას. პალიკოც ხომ პატიოსნებით აღსავსე ახალგაზდა ყმაწვილი კაცია! ეს კიდევ ცოტაა. პალიკო შეუყენებს ქეთინოს მშობლებს, დას, ნათესავებს, მთელს სოფელს: ვკვდები უშენოდ, მომთხოვდი და გამაბედნიერეო. აბა, ქართველო გასათხოვარო ქალო, [illegible] გორ უნდა მოქცეულიყო ქეთინო? ეს ოქრო ხომ სამუდამოდ დაკარგულია და მისი დაბრუნება აღარ შეიძლება. არ გათხოვდეს ქეთინო? მაშინ გულცივობას და ეგოისტობას დასწამებს ყველა. თუ-კი ქეთინომ იცის, რა დიადი გრძნობაა სიყვარული, რატომ არ უნდა აფასებდეს ასეთსავე გრძნობას სხვაში, პალიკოში? პალიკო კვდება უქეთინოდ, მისი გრძნობა სპეტაკია, უანგაროა. მაშ მოკლას პალიკო და არ მისთხოვდეს? რა დააშავა ისეთი პალიკომ, რომ ქეთინო ასე სასტიკად მოეპყრას. მისი დანაშაული ხომ მხოლოდ ის არის, რომ განუზომელად და განუსაზღვრელად უყვარს ქეთინო. განა ამისთვის კაცს სიკვდილით დასჯიან? მაშ რა ჰქმნას ქეთინომ? როგორ მოიქცეს? ოქრომ უღალატა, მაგრამ წყეული გული მასვე გასჩხავის უკან. გონება ეუბნება ქეთინოს: გადივიწყე მუხანათი ოქრო და შეირთე პატიოსანი პალიკოო. გული-კი ამბობს: ან ოქრო, ან არავინ და სიკვდილი!

ქეთინოს არსებაში ხდება საშინელი ბრძოლა გულისა გონებასთან, საშინელი და დამწველი დრამა!

განა, მკითხველო, რომ ფრიად საინტერესო პსიხოლოგიური ამოცანაა! სწორედ ისეთი, როგორიც ქართულ [illegible] ორად იყოფოდაო და ჯვარედინზედ დიდი ქვა იდოო; ქვაზედ ეწერაო: აქეთ წახვალ—სიკვდილს არ ასცდები და იქით წახვალ—ვეღარ დაბრუნდებიო.

ისიც სათქმელია, რომ პატარა ყალიბის კაცებისთვის აქ არავითარი ამოცანა არ არის. პატარა კაცი იტყვის: ოქრომ უღალატა, პალიკო შეირთოსო; პალიკო უღალატებს—არისტოს მისთხოვდესო და სხვა. აკი მოგახსენეთ, ქეთინო ასეთი ჩვეულებრივი არსება არ არის, ის გრძნობით არა ჰვაჭრობს.

ვერ მისთხოვდება ქეთინოც პალიკოს. ქეთინო არჩევდა მოლოზნად შესვლას, სიკვდილს, ყველაფერს და თავისს წმიდათა-წმიდას-კი ვერ შელახავდა. ქეთინო პირდაპირ უცხადებს პალიკოს (განა-კი შეუძლიან ქეთინოს ტყუილი!): რა ვქმნა, ძალიან მებრალები, ძალიან თანაგიგრძნობ, მაგრამ ჩემი გული მეორე სიყვარულს ვერ შესძლებს; რად მოგატყუო, მე შენ ცოლობას ვერ გაგიწევო.

არც მოატყუებდა ქეთინო, არ მისთხოვდებოდა, რომ... ან. ერისთავისთვის აქ მხატვრობით ალღოს არ ეღალატა, თავისი წმინდა ქმნილება, თავისი ანგელოზი ქეთინო ავტორმა თითონვე ღრმად და სავსე- [illegible] ერთი-ორი ყალბი ფრაზა ათქმევინა, იმ გვარი, როგორც რუსები იტყვიან: нельзя съ одной стороны не сознаться, а съ другой не признаться-ო... და მიათხოვა პალიკოს. არა და არა! ამას არ იზამს ქეთინო, ამას არ იზამს ახალი ქართველი ქალი. ბელლეტრისტიკაში სიყვარული სიმბოლოა იდეისა საზოგადოდ. იმისთანა ბუმბერაზი ადამიანები, როგორც ტარიელი და ნესტანია, როგორიც ქეთინოც არის, მარტო მაშინ-კი არ არიან დიდ-ბუნებოვანი ადამიანები, როდესაც ცოლ-ქმრული სიყვარული უნთიათ გულში. არა, ისინი ისეთივე გაუტეხელნი და შეუდრეკელნი არიან ყოველის იდეის მსახურებაში. მეფობის ჟამს, თუ გარემოება ითხოვს, ესენი ხდებიან „დიმიტრი თავდადებული“, სარწმუნოებაში—„ქეთევან დედოფალნი“, მეცნიერებაში—გალილეი ანუ კოლუმბი. ასეთი დიდ-ბუნებოვანი ადამიანი ან. ერისთავისამ მოტეხა და აქცივა უბრალო კაცუნიად. ასეთი შეცდომა, ეტყობა, ავტორმა იგრძნო ბოლოს და იმითიღა გაასწორა, რომ ქეთინოში კვლავ გააღვიძა და გააფთრა მიძინებული დროებითი გრძნობა, როდესაც ის ჰნახავს მომაკვდავს ოქროს და გაიგებს, რომ მათი დაშორება მხოლოდ ნაყოფი იყო ბოროტის ენისა. ხელში უკვდება ოქრო და ერთს წელიწადს თითონაც გადაჰყვება დარდსა მაგრამ შვილები? თვით პალიკო? რა უფლება ჰქონდა ქეთინოს ძველის სიყვარულის ფიქრსა და ზრუნვას გადაჰყოლოდა, როდესაც ხელში ორი მარგალიტი შვილი ეჭირა პალიკოსი? ამასაც არ იზამდა რკინის ხასიათი ქეთინოსი. ესეც პსიხოლოგიური შეცდომაა ავტორისა. ხოლო ეს შეცდომა პირდაპირი ნაყოფია პირველის შეცოდებისა.

ასე და ამ რიგად ქ-მა ან. ერისთავისამ მხოლოდ ნახევრად შესძლო დახატვა ახალის ქართველის ქალისა. ძნელია იმისი თქმა, თუ რა იყო ამისი მიზეზი. იქნება ჯერ ჩვენი ცხოვრება არ იძლევა საკმაო მასალას ასეთის ქალის შესაქმნელად; ან იქნება ღრმად ვერ ჩაუკვირდა ავტორი თავისს გმირს.

ერთია მართალი, რომ ქეთინო მაინცა და მაინც ფრიად სასიამოვნო მოვლენაა ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში, ქეთინოს ცქერით ბევრის ქალის გული გაფაქიზდება და ამაღლდება, ბევრი კაცის გონება დაუფიქრდება ჩვენის ცხოვრების წვრილმანობასა და უშინაარსობას... და ესე ყოველივე უნაყოფოდ არ ჩაივლის ჩვენის საზოგადოებისათვის.

მეგახლავარ

თავზე უნდა ეხუროს დიდი ქუდი „პანამა“, ხელში ეჭიროს კარგა მსხვილი კეტი და გულზე ეკიდოს მედალი, რომელზედაც ოქროს ასოებით ეწერება „Cent Kilo“, (ასი კილო); ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ამ კაცის წონა $6^1/_2$ ფუთზე მეტია. ბოლოს კრების თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: „ყველგან არსდება სხვა და-სხვა კლუბი, მაგრამ ჩვენ, როგორც ეტყობა, ღირსნი არ გაგვხადეს ამ კლუბის წევრებად. აი სწორედ იმიტომ დაარსდა ჩვენი კლუბი ჯერ სენდენის და ეხლა პარიჟში. დაარსდა კლუბი დიდის წონის კაცებისათვის და აი, ჩვენც აქ გახლავართ!“ გაზეთის თანამშრომლები პრეზიდენტმა სახლში მიიწვია. პრეზიდენტის ცოლი, ქმართან შედარებით, მეტად გამხდარი და სუსტი დედაკაცი აღმოჩნდა, მაგრამ ეტყობოდა-კი, რომ სახლში ის იყო ბატონი და უფროსი. „ჩემს ქმარს ძლიერ მოაქვს თავი თავისის სისქითაო, სთქვა პრეზიდენტის მეუღლემ, ის-კი ავიწყდება, რომ ჩემი მადლობელი უნდა იყოს, მე კარგად ვუვლი და ვუფრებ, თავისს დროზე სადილი მაქვს მზად, თავისს დროზე ვახშამი. დროზე ვაძინებ და ვაღვიძებ და აი, ბატონებო, მხოლოდ ამიტომ არის ეგეთი მსუქანი. ჩემს ჯაფას და შრომას-კი არავინ აფასებს. გუშინ წინ კლუბის წევრები ყველანი დაჰპატიჟეს ოპერის თეატრის მეჯლისში, მაგრამ წევრების ცოლების დაპატიჟება ფიქრადაც არ მოსვლიათ. მე ეს არა მწყინს. ვაი იმ ქალების ბრალი, ვინც ამ „კავალერებთან“ ცეკვამდა. თუმცა დარწმუნებული კი ვარ, რომ არც ერთი არტისტი ქალი არ დაიწუნებს ჩემს ქმარს. სადილის დროს „მსუქანთა“ კლუბის პრეზიდენტი საჭმელს ძლიერ ცოტას მიირთმევდა, ღვინოს-კი ზედი-ზედ ყლურჭავდა და რამდენიმე ბოთლი გამოსცალა. აღმოჩნდა, რომ ამ კლუბის წევრთა უმრავლესობა სირაჯები ყოფილან და მხოლოდ რამდენიმე ხუროთ-მოძღვარი ურევია. წევრთა შორის ყველაზედ უსქესი ყოფილა პატივცემული სირაჯი ბ-ნი არტიგი, რომელიც კლუბის წევრად შესვლის დროს $14^1/_2$ ფუთის წონისა ყოფილა და მხოლოდ მერე ცოტათი გამხდარა. დიდი ხანი არ არის, რაც ამ კლუბის წევრები სირბილში გაეჯიბრნენ და ზოგი მათგანი ისე ჩქარა დარბოდა, ისეთი სიმარდე გამოიჩინა, რომ სამართლიანად წინააღუდგნენ იმ კანონს, რომლის ძალით ძლიერ მსუქანი კაცები ჯარში არ მიჰყავთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 ივნისი

**პლაიადელიესტე.** დილის 11 საათზედ ლაუტონის დივიზიამ დაიჭირა სანტ-იაგოს გარეთ-უბანი-კაბანო. ...როს სიმაგრეს და ნავთ-სადგურის შესავალთან მდებარე სხვა სიმაგრეებს. ესპანიის ფლოტი ესროდა ამერიკის ჯარს, რომელიც ძალიან მიუახლოვდა ქალაქს.

**ნიუ-იორკი.** როგორც სიბონედგან მოსული დეპეშა იუწყება, გუშინ დაიწყო სასტიკი ბრძოლა, რომელმაც ხუთს საათს გასტანა. $3^1/_2$ საათზედ ესპანელნი ქალაქ გარეთ მდებარე სიმაგრეებიდგან თვით ქალაქში შევიდნენ.

**პორტ-საიდი.** ესპანიის გემები ნავთ-სადგურიდგან გავიდნენ, რათა საკუთარის ნახშირის გემებიდგან საჭირო ნახშირი წაიღონ.

ამერიკის კრეისერი „სან-ფრანცისკო“ არხში შევიდა.

**ვენა.** როგორც „Neve Freie Presse“ იუწყება, მთავრობამ შეიმუშავა ენების შესახები კანონ-პროექტი, რომელიც გრაფმა ტუნმა დიდ მემამულეთა წარმომადგენლებს აუწყა. ხმა დადის, ამ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თანახმა ვართ პროექტისაო.

**პლაიადელიესტე.** ბრძოლამ შუაღამემდე გასტანა. ამერიკელებმა დაიჭირეს სანტ-იაგოს მოწინავე სიმაგრეები. ბრძოლა, უთუოდ, გათენებისას განახლებულ იქმნება. ამერიკელებს დიდი ზარალი მოუვიდად.

**მადრიდი.** გენერალ აუგუსტის მიერ მანილიდგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება: „გენერალმა მონეტმა 1,000 ჯარის-კაცით მაკაბებემდე მიაღწია, სადაც გამაგრდა. გზა და გზა ჯარს ხშირად უხდებოდა ბრძოლა. თუ ვინიცობაა მტერი სატახტო ქალაქთან მოვიდა, მე ვუბრძანებ მონეტს, მოწინააღმდეგეთა ჯარი გაარღვიოს და მოსაშველებლად მოვიდეს, თუმცა ეს ძნელ საქმედ მიმაჩნია“.

**სიბონე.** გუშინდელ ბრძოლაში ამერიკელებმა 1,000 კაცზედ მეტი დაჰკარგეს. ამერიკის ყველა სათადარიგო ჯარი წინ წასწიეს ბრძოლის განსაახლებლად. ესპანიის სიმაგრეები ძალიან კარგად არის გამაგრებული, იმ ყუმბარებმა, რომელიც ესპანიის გემებიდგან იქმნენ გასროლილი, დიდი ზარალი მოახდინეს. როდესაც ამერიკელები მიწის სანგარს მიუახლოვდნენ, იმათ წინ აღმოჩნდა მხჩვლეტავი მავთულის ღობე, რომელიც სიმაღლით 8 ფუტი იქმნებოდა.

**ვაშინგტონი.** ზღვათა სამინისტრომ სიბონედგან შაფტერის შემდეგი დეპეშა მიიღო: „ჩვენ მოგვიხდა დიდი ბრძოლა, რომელმაც დილის 8 საათიდგან მზის ჩასვლამდე გასტანა. ავიღეთ ქალაქს გარეთ მდებარე სიმაგრეები. ეს სიმაგრეები ჩვენ ხელში დარჩა. ამ ჟამად ჩემს მოწინავე ჯარსა და ქალაქს შორის $^3/_4$ მილის მანძილი-ღა დარჩება. ეს ადგილი თავისუფალი მინდორია. ჯარი გამაგრდა დილამდე, ვიდრე ახალი ჯარი მოგვეშველება. ლაუტონის დივიზიამ და ბეტსის ბრიგადამ, რომელთაც ელგნეთას აღების დროს მთელი დღე იბრძოლეს, თავიანთი დანიშნულება კარგად აღასრულეს. ღამე ეს ჯარი საომრად დარაზმული სანტ-იაგოსაკენ წავა“.

შაფტერის დეპეშები იუწყებიან, რომ ამერიკელებმა 1000 კაცამდე დაჰკარგისო. [illegible] გამოიკვლიონ რამდენია დაღუპული. შუაღამემდის არარაფერი ისმოდა ბრძოლის განახლების შესახებ. 50-მდე მკურნალმა ბრძანება მიიღო, ჯარს შეუერთდითო. შაფტერს მოლაპარაკება ჰქონია სამხედრო უფროსებთან. ვაშინგტონის სამხედრო წრეები შეფიქრიანდნენ.

„Even World“-ის პლაიადელიესტოდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ, როგორც გარსიამ განაცხადა, გენერალ პინდოს ჯარი, რიცხვით 6,000 კაცი, სანტ-იაგოში შევიდაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-128 №-ში დაბეჭდილს წერილში ქალაქ „ქუთაისის არჩევნები“ გამოჩრჩა პასუხი ბ-ნ სანებლიძისა, ბ-ნ ს. თოფურიას მიმართ. როცა ბ-ნმა ს. თოფურიამ სთქვა: „სამწუხაროა, რომ ბ-ნ სანებლიძემ ისარგებლა ერთის კენჭით, რომელიც იმას არ ეკუთვნოდა“... სანებლიძემ უპასუხა: „მე სრულიადაც არ მისარგებლია ამ კენჭით, რადგან იგი თავისს დანიშნულებისამებრ ჩავაგდე; მე მხოლოდ ვაფრთხილებ ბ-ნ თავმჯდომარეს, რომ შეიძლება ვინმემ ისარგებლოს და ყუთის ერთის განყოფილებიდან მეორეში გადიტანოს, რადგან ამოდენა საზოგადოებაში ბევრი იმისთანა კაცი მოიპოვება, რომლის ზნეობის თავმდები არავინ არის.

ქუთათური კორესპონდენტი

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოც და შვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—თერთმეტი (11)—(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ [illegible] წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მთხზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი—იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $189^8/_9$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 4 ივლისს გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა და **იჯარით გაიცემა** 1899 წლის 30 აპრილიდგან ექვსის წლის ვადით **ქალაქის კერძო აფთიაქი**, რომელიც ამ ჟამად პროვიზორს კამოცკის აქვს იჯარით.

პირობების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა უქმე დღეებს გარდა, დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (3—6.—1)

15 მაისიდგან გამართულია

## ხვედურეთის აბანო

სად. ქარელის მახლობლად

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Ст. Карели. кн. Конст. Цицiанову. (5—94—4)




ვეცხლისა




ოქროსა



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პირველ მაისიდამ გადატანილია იარმუკიდგან მიხეილის ქუჩაზედ, სავადმყოფოს პირდაპირ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97. და მეორე განყოფილება საღებავებისა (კრასკებისა) ავლაბარშია, სირაჯხანის თავში. ორივ ალაგას საუკეთესოდ მზადდება ყოველნაირი ზეთის კრასკები და იყიდება დაშორებით სხვა წლებზედ იაფ ფასად. აგრეთვე ვყიდით ლიტოგრაფიის კრასკებს როგორც გალესილს, ისრე მშრალს, მარას, ბრონძსკისტებს და სხვა, აქვე ვიღებთ ყველა ნაირად სახლების შეკეთებას, (რემონტს) როგორც ტფილისში, ისე სხვა საქართველოს ქალაქებში, მხოლოდ რკინის გზის სადგურების მახლობლად, საქონელი სხვა ადგილებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას და... (40—6.—4)

1) **РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванiю по книгѣ

## „РУССКОЕ СЛОВО“,

იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, გადასწორებული და შევსებული, ფასი ყდიანი წიგნისა სამი აბაზი, უყდოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 48 კაპეიკად. წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში.

## 2) ОЧЕРКЪ СРАВНИТЕЛЬНОЙ ГРАММАТИКИ РУССКАГО И ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКОВЪ,

იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ერთი აბაზი, ვინც ათს ან მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩართულია პირველის ბოლოში და ამიტომ მყიდველმა პირველისამ არ უნდა იყიდოს მეორე. საწყობი ორივე წიგნისა არის ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. (6—6)